

# ფეხბურთი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

17 ღიკეპბერი შაბათი 2011  
№297 (13594) ფასი 80 თეთრი

## ფინალისკენ აღიანს არენისკენ

**RESULT OF THE DRAW**

OLYMPIQUE LYONNAIS (FRA)	VS	APOEL FC (CYP)
SSC NAPOLI (ITA)	VS	CHELSEA FC (ENG)
AC MILAN (ITA)	VS	ARSENAL FC (ENG)
FC BASEL 1893 (SUI)	VS	FC BAYERN MÜNCHEN (GER)
BAYER 04 (GER)	VS	FC BARCELONA (ESP)
PFC CSKA MOSKVA (RUS)	VS	REAL MADRID CF (ESP)
ZENIT ST PETERSBURG (RUS)	VS	SL BENFICA (POR)
OLYMPIQUE DE MARSEILLE (FRA)	VS	FC INTERNAZIONALE (ITA)

ჩემპიონთა ლიგის და ევროკა ლიგის კლბი ოფიციის წილისყრა

### ახალი ღიღი დაპირისპირება



მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ფინალის წინ



საბჭოთა  
ეკონომიკური  
გეგმვის  
საბჭოთა

### საუკეთესო ფილმი ფესბურთზე

ახეთ კონკურსში საქართველოს  
XXIII ჩემპიონატის დებულეზა  
საუკეთესო სცენარი იქნებოდა  
რეალურისა და ვირტუალურის  
უჩვეულო გერყმა: როგორ ადგილზე  
ვართ, ძმურად, იცის ვინაობა?



# ქართული ფაზბურთი

## ● ფაზბურთი და სახელმწიფო

# სამინისტროს გუნდები რაიონებს დაუბრუნა

### კოლხეთსა და ბაიაში იმედი გაჩნდა, ვინ დააფინანსებს სიონს?

შევიტყვი, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ხანგრძლივი გარჩევებისა და კამათის შემდეგ მუნიციპალიტეტებს გუნდები დაუბრუნა.

ლაპარაკია იმ კლუბებზე, რომლებიც ადრე სახელმწიფო კმაყოფილება იმყოფებოდნენ, მაგრამ ორი წლის წინ ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე კერძო ინვესტორების დაინტერესებისა და პრივატიზაციის იმედად გადაიყვანეს - ბოლნისის "სიონი", ზუგდიდის "ბაია", ფოთის "კოლხეთი".

ნანსებენო. უკვე შედგენილია ბიუჯეტი, რომელიც მინიმუმ მილიონი ლარი იქნება, აქედან 50 პროცენტს მერია გაიღებს, 200 ათას ლარს ფოთის პორტი, 300 ათასს კი - ადგილობრივი ბიზნესი - გვიტხრა "კოლხეთის" მთავარი მწვრთნელის კონსულტანტმა **სოსო ფილიამ**.

რა მდგომარეობაა ზუგდიდის "ბაიაში"? - ამ კითხვით გუნდის მთავარ მწვრთნელ **ელგუჯა ქომეითიანს** მივმართეთ.

"ჩვენი კლუბი სამინისტროს ბალანსზე იყო. როდესაც გუნდს პრობლემა შეექმნა, კომპანია "ფერეო" თანხა ჩავვირიცხა, მაგრამ ის მეპატრონე არ არის. ალბათ, ეკონომიკის სამინისტროს ბალანსიდან "ბაია" ზუგდიდს გადაეცემა. ქალაქისა და რაიონისგან კი ამ ეტაპზე ფინანსური პრობლემა ნამდვილად არ შეგვექმნია, ხელფასები და პრემიები დროულად გვერიცხება. მეტიც, ახალი წლისთვის მოგვთხოვენ გეგმა, სად და როგორ უნდა მოვემზადოთ, ამიტომ მრჩება შთაბეჭდილება, რომ ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდება. შესაძლოა, გუგუჩია და სამუშია შეინარჩუნონ და გაძლიერებაზეც ვიფიქროთ" - ამბობს ქომეითიანი.

გორის "დილა" ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე არ იყო, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში გადასვლის შემდეგ კი გორელები ფინანსურ პრობლემაზე აღარც დარდობენ. გუნდის პატრონობა სამინისტრომ დაცვის პოლიციას დაავალა.

უკვე მეოთხე თვეა, "დილას" "ჰაიდელბერგცემენტი" სპონსორობს, რომელიც მანამდე რუსთავის მორაგბეთა კლუბ "ხარებს" პატრონობდა.

ეს ინფორმაცია კლუბის ხელმძღვანელობაში დაგვიდასტურეს - "ჰაიდელბერგცემენტი" ყოველ თვე კლუბის ანგარიშზე 13 500 ლარს რიცხავს.

მერაბ მაგულაშვილი



## ● ინფრასტრუქტურა



რომორცინა, მოედნების კეთილმოწყობას წლებულსაშველი ადგება: ზესტაფონში ეს პრობლემა დიდი ხანია, მოავგარეს, ახალი საფარი დააგეს ეროვნულ სტადიონზე, "მიხეილ მესხზე", ქუთაისში, ჩემპიონატის შეხვედრები ტარდება ეროვნული ნაკრების ბაზაზე, სადაც ასევე ჩინებული მოედანია.

ამას გარდა, ცხინვალის "სპარტაკის" პრეზიდენტმა **დიმიტრი სანაკოევმა** გვიტხრა, რომ გუნდი ხაშურში გადავა და სტადიონის რეკონსტრუქციასაც დაიწყებენ. დამოუკიდებლობის პირველ წლებში ხაშურში მშენებელი სტადიონი მოანწყვეს, ერთ-ერთი პირველი საქართველოში, სადაც ინდივიდუალური სკამები დაამონტაჟეს, მაგრამ მერე იქაურობა გავერანდა და ახლა სავალალო დღეშია.

ფოთის სტადიონზე საფარის დაგება კი დასრულდა, მაგრამ თავად სტადიონი თამაშებისთვის ჯერ მოუზადებელია, მოედანზე არ არის ძელები, ტრიბუნები დანგრეულია და სუპერთასის ფოთში გამართვის იდეაზე ფედერაციამ ხელი ამიტომ აიღო. ის კი არა, "კოლხეთის" ხელმძღვანელობას ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავასთან** უნდა გაერკვია, სად უმასპინძლონ ცხინვალის "სპარტაკს" 18 დეკემბერს.

"მოედნის მოწყობის გარდა, სტადიონზე სხვა სამუშაოებიც ჩატარდება. სამშაბათს ფოთში ჩამოიტანენ 3 700 ინდივიდუალურ სკამს და მალევე დაამონტაჟებენ. ეს არის ფეხბურთის ფედერაციის სარუქარი - ზვიად სიჭინავა პირადად დაინტერესდა "ფაზის" კეთილმოწყობით. 3 700 სკამი ტრიბუნებს ორ მხარეზე ეყვრება, მესამე მხარეს კი ტრიბუნა დაანგრის, რადგან ამორტიზებული იყო. სამომავლოდ ისიც აშენდება და სკამებიც დაამონტაჟდება" - გვიტხრა "კოლხეთის" მთავარი მწვრთნელის კონსულტანტმა **სოსო ფილიამ**.

სტადიონის განახლება დანებებულია გორშიც, "თენგიზ ბურჯანაძის" არენაზე, საფარი უკვე დაიგო მოედნის 70 პროცენტზე, გაისად კი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული გუნდის სტადიონი სრულად განახლება.

## ● იუბილარი

# შალვა კაკაბაძე - 75

ლანჩხუთის "გურიას" ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელი **შალვა კაკაბაძე** დღეს იუბილარია - 75 წელი შეუსრულდა!

შალვა კაკაბაძე 1936 წლის 17 დეკემბერს ხონში დაიბადა, შემდეგ კი სწავლა განაგრძო სახელმწიფო 35-ე საფეხბურთო სკოლაში. 1953 წელს ამ სკოლის გუნდმა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ პირველობაზე ჩემპიონობა მოიპოვა: შალვა კაკაბაძე გუნდის კაპიტანი იყო, მის გვერდით კი თამაშობდნენ **მიხეილ მესხი**, **შოთა იამანიძე**, **სერგო კოტრიკაძე**, **ბორის სიჭინავა**, **ჯემალ ზეინკლიშვილი**, **თენგიზ მელაშვილი**.


1955 წელს შალვა კაკაბაძე თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის და, პარალელურად, მწვრთნელთა სკოლის სტუდენტი გახდა. 1957 წელს ლანჩხუთის "გურიაში" ჩაირიცხა, ერთი წლის მერე კი, 22 წლისა, იქვე მთავარ მწვრთნელად დანიშნეს! სხვათა შორის, ამ პოსტზე შალვა კაკაბაძემ შეუცვლელად იმუშავა 23 წელიწადი და სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება კიდევ "გურიას" თითქმის ყველა წარმატება. ამჯერად მხოლოდ რამდენიმე მიღწევას ჩამოვთვლით: შალვა კაკაბაძის ხელმძღვანელობით იმ პერიოდში "გურია" სამჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი,

სამჯერ მოიპოვა საქართველოს თასი, შვიდჯერ - შოთა შავგულიძის სახელობის თასი (გათამაშება საქართველოს „ბ“ კლასის გუნდებისთვის), ერთხელ კი ამიერკავკასიის „ბ“ კლასის გუნდებს შორისაც გახდა ჩემპიონი და ამ მიღწევებისთვის 18 ფეხბურთელს სპორტის ოსტატის ნოდება მიენიჭა.

დაუვიწყარი იყო 1979 წლის მიღწევა: საბჭოთა კავშირის II ლიგაში "გურია" ზონის გამარჯვებული გახდა და პირველ ლიგაში გადავიდა, რასაც შემდგომ უკვე უმაღლესი ლიგაც მოჰყვა! სსრ კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში კი მსგავსი პრეცედენტი არც მანამდე და არც მერე არ მომხდარა - როცა პატარა რაიონული ცენტრის გუნდი ასეთ სიმალეზე ავიდა!

შალვა კაკაბაძის ხელმძღვანელობით ლანჩხუთელთა გუნდში არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი აღიზარდა: **ზორბეგ გურაღიძე**, **ლევან ყორღანია**, **რამაზ ურუშაძე**, **ბესო მჭედლიშვილი**, **გია თავაძე**, **ოთარ კორღალიძე**, **თემურ ჩხაიძე**, **გიგლა იმნაძე**, **მერაბ მეგრელიძე** და სხვები.

1966 წელს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნოდება მიანიჭეს. მაშინ ის 30 წლის გახლდათ! მიღებული აქვს დიპლომები თუ სხვადასხვა ჯილდო, რასაც 1998 წელს „ღირსების ორდე-



ნიც" შეემატა. შალვა კაკაბაძე ერთხანს (5 წელიწადი) თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდის უფროსად და პრეზიდენტის მრჩეველად მუშაობდა. ამჟამად კი საფეხბურთო კლუბ „გაგრაში“ მოღვაწეობს - საქართველოს თასის მფლობელი გუნდის პრეზიდენტის მრჩეველია!



მერაბ მაგულაშვილი

## მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩაჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.


1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩაჩილაძე (1985-დან).

კალთრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: lelold@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: იოსებძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან ვაშთაწინადადებულია გაზეთის რედაქციის გასაღებისა და ფოტოების სხვა პატივით და ელექტრონულ საშუალებაში გამოქვეყნება აკრძალულია



დაფუძნებულია და გამოცემულია შპს გამოცემვების ლალო

გამოცემა მოწოდებულია, გარდა კვირისა
















● ჩემპიონთა ლიგა. კენჭისყრა

# აი, ჯახი: მილანი-არსენალი!



ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ „ბარსელონას“ მეტოქედ გერმანული „ლევერკუზენი“ ერგო. როგორც ჯგუფის პირველადგილოსანი, „ბარსა“ საპასუხო მატჩს თამაშობს შინ. ლიგის კიდევ ერთი დიდი ფავორიტი „რეალი“ მოსკოვის ცსკა-ს გამოცდის. თუმცა მერვედფინალური ეტაპის უმთავრესი დაპირისპირება, თქმად უნდა, იტალიის ჩემპიონ „მილანისა“ და ლონდონის „არსენალის“ ჯახი იქნება.

ჩემპიონთა თასის 4-გზის მფლობელი „ბაიერნი“ შვეიცარიულ „ბაზელს“ შეუნყვილდა, რომლის დიდი დამსახურებაა, რომ ტურნირზე აღარ თამაშობს შარშანდელი ფინალისტი

„მანჩესტერ იუნაიტედი“. შეგახსენებთ, რომ ფინალი მიუნხენში, „ალიანს არენაზე“. ასე რომ, გერმანიის ჩემპიონი გაორმაგებული ენთუზიაზმით მიიღებს ფინალისკენ. ლიგის 2010 წლის ტრიუმფატორი „ინტერი“ კი ფრანგულ „მარსელს“ დაუპირისპირდება, რომელიც ტიტულს 1993 წელს ფლობდა.

ლიგის პლეი ოფის დებიუტანტებზე ვთქვათ, კვიპროსული აპოელ-ისა და ფრანგული „ლიონის“ წყვილი კალათებიდან პირველად ამოიღეს, კიდევ ერთი დებიუტანტი, რუსული „ზენიტი“ პორტუგალიურ „ბენფიკას“ დაეჯახა, ხოლო „ნაპოლი“, რომელიც ასევე ახალბედაა, „ჩელსის“ შეებრძოლება.

1/8 ფინალები

	<b>ლიონი (საფრანგეთი)-აპოელ (კვიპროსი)</b>	
	<b>ნაპოლი (იტალია)-ჩელსი (ინგლისი)</b>	
	<b>მილანი (იტალია)-არსენალი (ინგლისი)</b>	
	<b>ბაზელი (შვეიცარია)-ბაიერნი (გერმანია)</b>	
	<b>ლევერკუზენი (გერმანია)-ბარსელონა (ესპანეთი)</b>	
	<b>ცსკა (რუსეთი)-რეალი (ესპანეთი)</b>	
	<b>ზენიტი (რუსეთი)-ბენფიკა (პორტუგალია)</b>	
	<b>მარსელი (საფრანგეთი)-ინტერი (იტალია)</b>	

1 მარტი

14 თებერვალი	ლიონი-აპოელ
15 თებერვალი	მილანი-არსენალი
21 თებერვალი	ნაპოლი-ჩელსი
	ცსკა-რეალი

საპასუხო მატჩები

6 მარტი	არსენალი-მილანი
7 მარტი	აპოელ-ლიონი
13 მარტი	ბაიერნი-ბაზელი
14 მარტი	ჩელსი-ნაპოლი

● ფიფა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. ფინალის წინ

## არა მხოლოდ მესი VS ნეიშარი

<b>სპელ</b>	
<b>მე-3 ადგილი</b>	
კაშივა (იაპონია)-ალ სადი (ყაზანი)	11:30
<b>ფინალი</b>	
სანტოსი (ბრაზილია)-ბარსელონა (ესპანეთი)	14:30

ფინალურ მატჩში ამ გუნდების დაპირისპირებას მთელი საფეხბურთო მსოფლიო წინასწარ ელოდა დიდი პატივისცემით აზიური და აფრიკული საკლუბო ფეხბურთისადმი, მაგრამ მათ კიდევ რამდენიმე თავი აკლიათ ევროპულ და სამხრეთამერიკულ სიმბოლოებამდე. მსოფლიოში საუკეთესო საფეხბურთო სკოლების დაპირისპირება პლანეტის საუკეთესო კლუბის სახელისთვის ბრძოლაში ლოგიკურია. ლიგა კურია ისიც, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ ის ფეხბურთელები ითამაშებენ, ვისაც საუკეთესო ფეხბურთელებად ასახელებენ.

**ლიონელ მესი VS ნეიშარი** რა ხანია საფეხბურთო ექსპერტების საყვარელი სალაპარაკო თემა გახდა. თუმცა არც „ბარსა“ მარტო მესი და არც „სანტოსია“ კინკლა ნეიშარი. მოედანზე ხომ ჩავი, **ინიესტა**, **განსო** და სხვა სუპერგარსკეცავებიც იქნებიან. ასე რომ, 18 დეკემბერს, იოკოჰამას საერთაშორისო სტადიონზე ერთმანეთის წინაშე დიდი გუნდები ერთმანეთს უპრესტიჟულესი ტიტულისთვის შეერკინებიან. ალბათ არავის გაუკვირდება, თუკი ვეტყვი, რომ ფავორიტი „ბარსა“ ფინალამდე ორივე გუნდს იოლი გზა ჰქონდა. „კამიგა რეისოლმა“ „სანტოსსა“ და „ალ სადმა“ „ბარსას“ ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. გრანდებს კუნთების დატოლება ახლა ერთმანეთთან მოუწევთ.

ლიონელ მესი „ბლაუგრანას“ შემადგენლობაში ისტორიულ მატჩს ჩაატარებს. მისთვის ეს 295-ე იქნება აგურისფერი კვართით, რაც საუკეთესო შედეგია არაესპანელი ფეხბურთელებისთვის. აქამდე ყველაზე მეტი მატჩი ჰოლანდიელ ფილიპ კოკუს აწვარნიშებ იყო.

დავიდ ვილიას ტრავმის შესახებ მთელმა მსოფლიომ იცის. „ალ სადთან“ ტრავმა მიიღო კატალონიელთა მეორე თავდამსხმელმა ალექსის სანჩესმაც. ჩილელს მარცხენა ფეხზე ბარძაყის კუნთი დაეჭიმა, რის გამოც **ხოსებ გვარდიოლა** ვილიას ნაცვლად შეცვლაზე შესული ფეხბურთელის ადგილას მინდორზე **კუენკა** შეუშვა. ალექსისს ექიმებმა ვარჯიში აუკრძალეს. მისცემენ თუ არა „სანტოსთან“ მოედანზე გასვლის ნებას, ეს მხოლოდ მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე გადანყდება.

**მურის რამალიო** (სანტოსი. მთავარი მწვრთნელი): „ტურთის კონტროლში „ბარსელონას“ რომ შეეჯიბრო, მართლა მხეცი უნდა იყო. ამ კომპონენტში მათ მართლა ვერაფერი შეედრება. ჩვენ მეტოქეს აუცილებლად ძალიან მჭიდროდ უნდა ვეთამაშოთ. ვეცადოთ, წნეხის ქვეშ მოვაქციოთ. ეს ნამდვილად შეგვიძლია, რადგან განსო, ელანო და გენიოსი ნეიშარი გვყავს. მე ეჭვიც არ მემპარება, რომ ის მეტოქეს ბევრ პრობლემას გაუჩენს“.

**ხოსებ გვარდიოლა** (ბარსელონა. მთავარი მწვრთნელი): „ჩვენი მიზანი ერთია: ტიტული, კიდევ ერთხელ უნდა მოვიგოთ. ვიცით, რომ ეს საკმაოდ ძნელი იქნება, რადგან „სანტოსი“ დიდებული კოლექტივია. ამ გუნდს რამდენიმე ექსტრაკლასის ფეხბურთელი ჰყავს. ჩვენ საქმე გვაქვს უდიდესი ისტორიის მქონე კლუბთან. რა თქმა უნდა ყველამ ვიცით, რომ ეს პელები გუნდია. მათთან დაპირისპირებას მოუთმენლად ველოდებით“.

**ვიქტორ ვალდესი** (ბარსელონა. მეკარე): „სანტოსთან“ მატჩს მთელი მსოფლიო ელოდება, რადგან თანაბარი ძალის გუნდები ვართ. ძალიან ძვავს ერთმანეთს ჩვენი სათამაშო სტილიც. ბრაზილიელებს ძალიან უყვართ ბურთის დაჭრა და სავალე მომენტების შექმნა. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ ფინალი კარგი სანახავე უნდა გამოდგეს. განსაკუთრებული ყურადღება ნეიშარს უნდა მივაქციოთ. ის „სანტოსის“ ყველაზე ნიჭიერი და სახიფათო ფეხბურთელია. მას ჩვენთვის მრავალი სიურპრიზის მომზადება შეუძლია“.

ლევან გიბილაშვილი

● ევროპა ლიგა. კენჭისყრა

ეროვნული ჩემპიონთა ლიგა

1/16 ფინალები

- პორტუ (პორტუგალია)-მან. სიტი (ინგლისი)
- აინახი (ჰოლანდია)-მან. იუნანიტაიდი (ინგლისი)
- ლოკომოტივი (რუსეთი)-გილზაო (ესპანეთი)
- ზალცბურგი (ავსტრია)-მეტალისტ (უკრაინა)
- სტოკი (ინგლისი)-ვალენსია (ესპანეთი)
- რუზინი (რუსეთი)-ოლიმპიკოსი (საბარქანეთი)
- ალკაბარი (ჰოლანდია)-ანდერლახტი (ბელგია)
- ლაციო (იტალია)-ატლანტიკო (ესპანეთი)
- სტიაზა (რუმინეთი)-ტვენტე (ჰოლანდია)
- ვიქტორია (ჩეხეთი)-შალკე (გერმანია)
- ვისლა (პოლონეთი)-სტანდარდი (ბელგია)
- ბრაზა (პორტუგალია)-კაშიმთაში (თურქეთი)
- უდინეზა (იტალია)-აკოკ (საბარქანეთი)
- ტრაზონი (თურქეთი)-ინდჰოვენი (ჰოლანდია)
- ჰანოვერი (გერმანია)-პრიუშა (ბელგია)
- ლეგია (პოლონეთი)-საორტინგი (პორტუგალია)

მარტი 16 და 23 თებერვალი

შენიშვნა: ბრაზა-ბემიქთაში გაიმართება 14 თებერვალს  
შენიშვნა: სიტი-პორტუ გაიმართება 22 თებერვალს

1/8 ფინალი

- 4 - 6
- 16 - 1
- 9 - 10
- 11 - 15
- 5 - 14
- 7 - 13
- 8 - 12
- 2 - 3



მარტი 8 და 15 მარტი გაიმართება

შენიშვნა: ციფრები აღნიშნავს 1/16 ფინალური წყვილების ნუმერაციას.  
შენიშვნა: თარიღები შეიძლება უმნიშვნელოდ შეიცვალოს.

ნიკოლოზ ნაზარაძე

**ვეროვარა. გაუმძლილი ღარი...**

დანი ვაიბს...  
ჩვენ არ ვიყვარებით...

**ხარხამლის დაკომპარსია DRX9000™ სისცავა**

**მადცანდრი Shine**

განსუბათ სპორტული დატვირთვით გამოწვეული პრობლემები?

გთავაზობთ მადცანდა დისკის კათოლიგიკის მკურნალობას ოპერაციის გარეშე

მწვავე ტავილიტის მოხსნას წვიცისა და ძვიდა პილურკიკის გარეშე

დისკოჰის, რადიკალიტის, ოსტეოპოროზის მკურნალობა

ჩანდრა წინდსდრა  
ტად: 2 230 330


მის: კაპელიძის 14  
www.shine.ge



# ოლიმპიადა: წყალბაჟიოფი ქართულ ქიულოში

## ბევრი კითხვები და ახალი რეალობა

სწორედ სპორტული თოქ-შოუ „არენაში“ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა სპორტულ მედიასთან შეხვედრისას ლიად განაცხადა, რომ საქართველოს ძიუდოსის კავშირის განხორციელება მთავარ მწვრთნელ პეტერ ზაიზენბახერს კონტრაქტი წლის ბოლომდე აქვს გაფორმებული და არა ლონდონის ოლიმპიადის დასრულებამდე, როგორც აქამდე გვიმოტკიცებდა ძიუდოს ფედერაცია. ნაცვლიშვილმა იქვე დაამატა, რომ აესტრეტიკოსი თანამშრომლობა ლონდონის ოლიმპიადამდე ახალი ხელშეკრულებით გაგრძელდება, თუმცა შედეგის მიუხედავად, ოლიმპიადის დამთავრებისთანავე ის პოსტს დატოვებს და ჩვენს გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება.



თავის სიმალეზე. თუ ფედერაცია სწორად შეარჩევს კანდიდატურას და მიზანსაც სწორად დაუსახავს, მაშინ არავის აქვს უფლება, საერთო ინტერესზე მაღლა პიროვნული დაყენოს - ასეთების ასალაგმავად მრავალი მეთოდი არსებობს და ფედერაციამ წესრიგის დასამყარებლად ნაწილი მაინც უნდა გამოიყენოს. წინააღმდეგ შემთხვევაში „მცოცავი ქაოსი“ ნებისმიერ სეზონში გარანტირებულია, ფედერაცია კი მუდმივად ხელფეხბერული იქნება.

### შიზს დიდი თვალები აქვს...

შეგახსენებთ, რომ ზაიზენბახერს კონტრაქტი ივნისში გაუფორმეს, როგორც ხელმოწერის ოფიციალურ ცერემონიაზე გვითხრეს, მართლაც - წლის ბოლომდე, თუმცა განმსაზღვრელი მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგი იქნებოდა. ამის მიუხედავად, ზედპარიზში წასვლის წინ ფედერაციამ სატყუარა შემოაგდო და განაცხადა, რომ ზაიზენბახერთან კონტრაქტი ოლიმპიადამდე დადეს და მსოფლიოს შემდეგ ის თავის პოსტზე მუშაობას გააგრძელებდა. ეს რომ სიმართლეს არ შეეფერებოდა და ფედერაცია კონტრაქტით მანიპულირებდა, დაახლოებით ჩემთვისაც იყო ცნობილი და ფედერაციის ზოგიერთი ვიცე-პრეზიდენტისთვისაც, თუმცა ფედერაცია კონტრაქტის მუხლებს განხილვებზე უარს ამბობდა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სიმართლეს იმიტომ მალავდნენ, რომ ახალი არეულობის ემინოდათ - ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში მთავარმწვრთნელობის სურვილს ქართველებიც გამოთქვამდნენ, რაც ადრინდელ დაჯგუფებებს შორის შეხლა-შემოხლას გამოიწვევდა. მათ მისალოდნელი არეულობის თავიდან აცილება ზაიზენბახერის ფაქტორით სცადეს, თუმცა საკითხავია, რამდენად სამართლიანად ვფიქრობთ, ეს ფედერაციის სისუსტეზე უფრო მიუთითებს, რადგან მსგავსი საშიშროება ყოველთვის იარსებებს, მის ასაცილებლად კი მუდმივად არც ზაიზენბახერი გვეყოლება და ვერც უცხოელებს მოვიწვევთ. ფედერაციამ ერთხელ უკვე დაუშვა დიდი შეცდომა, როცა ვერ აღკვეთა შიდა არეულობა (მეტრც - ბევრი ფაქტი მიანიშნებს, რომ ნახაბლისა კიდევ ის არეულობა), რის შედეგადაც დღემდე, რამდენიმე წლის შემდეგაც კი ვიმკით და დროა, ახლა მაინც დადგეს

### რას უნდა ველოდეთ ზაიზენბახერისგან საოლიმპიადოდ?

იმავე თოქ-შოუში ნაცვლიშვილმა უარყო ჩემი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ზაიზენბახერი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ მარიუს ვიზერის პროტეჟეა, თუმცა მოგვიანებით დაადასტურა, რომ აესტრეტიკოსი კანდიდატურა მართლაც განიხილეს ვიზერთან. მეტიც - ვიზერის რჩევაც ყოფილა, თუ ახალ წესებთან ადაპტაცია გინდათ, ეს კაცი ნაიყვანეთო. მეც ძალიან ბევრი ინფორმაცია მაქვს იმის სათქმელად (მათ შორის, ისეთი ხალხისგან, ვისაც საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის საქართველოში ბოლო სტუმრობისას მასთან უშუალოდ ჰქონდა ურთიერთობა), რომ აქ მართლაც ვიზერის მხრიდან პროტეჟეობაზე ლაპარაკი და არა უბრალოდ კონსულტაციების განხილვა. ახლა ჩემთვის გასაგებია, მსოფლიოს ჩემპიონატთან დაბრუნების შემდეგ რატომ არ შეფასდა ზაიზენბახერის მუშაობა უფრო კრიტიკულად, რატომ ახსენებდნენ მაშინ ისე ხშირად ვიზერის სახელს და რატომ ამბობდნენ, მასთან საქმე არ უნდა გავიფიქროთ. ასევე გასაგებია, თავის დროზე რატომ გაქრა ასპარეზიდან მავანი კორეელი მწვრთნელის კანდიდატურა, რომელთანაც ლამის შეთანხმებულები იყვნენ (ყოველ შემთხვევაში, ქართული ძიუდოს ოჯახში მაშინ ისე იცოდნენ, რომ კორეელი მოჰყავდათ), ხოლო ზემოთქმულიდან გამომდინარე ისიც ცხადია, რატომ არ შეცვალეს აესტრეტიკოსი.

### ჭადრაკი

## 5 საზღვარის 57 მაკიახელი

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის შეჯიბრება, რომელშიც სხვადასხვა რეგიონის 57 წარმომადგენელი უმაღლესი ემელონის 5 საგზურისთვის იბრძოლებს. მოასპარეზეთა შორისაა 10 გოგონა. გუშინ მე-2 ტურის შეხვედრები გაიმართა. ზედიზედ ორ-ორი პარტია მოიგეს და უდანაკარგოდ მეწინავეობენ გაიოზ ნიგალიძე, ზვიად ფაცია, შოთა ახალაძე, ნიკა ვოლკოვი, ირაკლი ბერაძე, ირაკლი ჯანიაშვილი, გიორგი ნიკოლაშვილი, გიგა ყუფარაძე, გიორგი ხელაია, ზურაბ ჯავახიძე, შალვა ნადირაშვილი და პაატა მაჩაიძე. დღეს სწორედ ისინი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს: ნიგალიძე — ნიკოლაშვილი, ფაცია — ყუფარაძე, ახალაძე — ხელაია, ვოლკოვი — ჯავახიძე, ბერაძე — ნადირაშვილი, ჯანიაშვილი — მაჩაიძე.

ვაჟა დანელია



ნანა ძაგნიძე ჩინეთის დედაქალაქში გუშინ დამთავრდა მსოფლიო ინტელექტუალური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მოჭადრაკეთა პაექრობები. დაფა-

## წინ მარჯონია

ზე დაუხედავად შეჯიბრებაში ნანა ძაგნიძეს განვლილ ხუთ ტურში 2,5 ქულა ჰქონდა მოგროვებული. ფინიშზე მან მოხარულად ორი ქულა შესძინა — ინდოელი ჰარიკა დრონავალი და ევროპის ჩემპიონი ვიტტორია ჩმოლიტი (ლიტვა) დაამარცხა, შვიდი შესაძლებელიდან მოაგროვა 4,5 ქულა და მეორე-მეექვსე ადგილები გაიყო, კოეფიციენტით მე-4 ადგილი ერგო. ბოლო ტურში ჩინელი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ ალექსანდრა კოსტენიუკს დაუხედა და 5,5 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი გახდა. 4,5-4,5 ქულით მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, ჩმოლიტი და კოსტენიუკმა დაიკავეს, მეხუთე იყო ელენა დემბო (საბერძნეთი), მეექვსე — ელისაბედ პეტცი (გერმანია). ტურნირის მონაწილეთაგან ნანა ძაგნიძე, ჰოუ იფანი, ცზო ვენძიუნი (ჩინეთი), ალექსანდრა კოსტენიუკი, ჰარიკა დრონავალი და ელენა დანიელიანი (სომხეთი) თურქულ მარდინში გაემგზავრებიან, სადაც თავიანთი ქვეყნების ქალთა ეროვნულ ნაკრებებს შეუერთდებიან და ხვალდან წრული სისტემით გუნდური მსოფლიოს ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ. პეკინში დაფაზე დაუხედავად ვაჟთა ასპარეზობა 5 ქულით უნგრელმა ზოლტან ალმაშმა მოიგო. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე-მესამე ადგილები მასქიმ ვაშოი-ლაგარემა (აფხაზეთი) და ეუგარ გაშიმოვმა (აზერბაიჯანი) გაინაწილეს.


ვაჟა დანელია

### მოგზაური

## მარცხი უკრაინაში რუსთან

ანთალიის საერთაშორისო ტურნირში (თურქეთი, 10 ათასი დოლარი) მე-5 ნომრად განთესილ ევა გორგოძეს (397) არ გასჭირვებია პირველი ეტაპის დაძლევა. მან „უაილდ ქარდით“ მიწვეული მასპინძელი ფაქმანურ ათილგანი ორ სეტში დაამარცხა - 6:3, 6:1. მეორედიდნალომ ქართველის მეტოქე 17 წლის ურენიანგორუსი ოლგა დრონიანი იყო. სამწუხაროდ, ჩვენებურმა ორ სეტში, 5:7, 5:7 ნააკო და გათამაშებას დაემშვიდობა, რადგან წყვილთა ბადეში არ ასპარეზობს.

ნიკოლოზ ნაზარაძე



მოკრატული სისტემა ნებისმიერ სფეროში განვითარების უმთავრესი წინაპირობაა - უამისოდ პროგრესი თანამედროვე სისტემა არ აქვს. ძიუდოსისტემა კი ამბობენ, რომ ზაიზენბახერს ელაპარაკენ და განიხილეს ყველაფერი, მაგრამ სადაა გარანტია, რომ ან მართლაც ყველაფერი განიხილეს, ან ჩვენ, საზოგადოებას სიმართლეს გვეუბნებიან? ფედერაცია მსოფლიოს ჩემპიონატამდეც ბევრჯერ ელაპარაკა ზაიზენბახერს და მთლად „ოქროს მთებს“ თუ არა, ბევრად უკეთეს რეალობას გვპირდებოდნენ, თუმცა სრულიად განსხვავებული რეალობა მივიღეთ. ახლა სრული უფლება გვაქვს, მათ საუბარს დახურულ კარს მიღმა გარიგება ვუწოდოთ, რადგან არც ამჯერად ვიცით სიმართლე, პრესკონფერენციაზე დიდი ლაპარაკი კი ამ კითხვებსაც მოსობდა და ვერც ასეთ დასკვნას გავაკეთებდით. ახლა ფედერაცია „ორსახა იანუსს“ დაემსგავსა - ერთი მხრივ, მართლაც საჭირო რეფორმები

დატოვებთ და უიმისოდ წავალთ ოლიმპიადისკენ. რატომ ვეცქევით ბიჭებს ასე „დავარდნილი ცხენის“ პრინციპით? ქანცვანყვეტილ ცხენებს ხომ კლავენ და ეს განცხადებაც ასეთად მიგვაჩნია. რეთო, არ შეიძლება ამ დატვირთვების იმგვარად გადაწვინება, სპორტსმენები არ დაზარალებდნენ და შეძლონ ძალების მობოლიზება. ან დაცემულს მართლაც რომ გადავაბიჯოთ, ვისი იმედით მივდივართ ოლიმპიადამდე, როცა წონების უმეტეს ლიდერებთან მისაუბრია და ისინი უკმაყოფილონი იყვნენ არსებული დატვირთვით? ღმერთმა ქნას, მართლაც სიმართლეს შეეფერებოდეს სიტყვები დატვირთვების შემცირებისა და ახლებური სისტემის შესახებ, თორემ არსებული რეალობით ოლიმპიადამდე სულ მთლად უმასობდა წავალთ.

ირაკლი თაბაძე



კალთბურთი

სკვერლიბა X ტური



პირველი ბათუმური

რუსთავი-ბათუმი 85:93

21:30, 19:32, 24:12, 21:19.

რუსთავი: მაჭავარიანი (6ქ, 6პ), გ. არაბული (2ქ, 3წ...)

ბათუმი: მაისურაძე (11ქ, 5პ, 8მ, 2დ), რამიშვილი (17ქ, 4წ, 4პ, 7მ), მიქელაძე (7ქ, 4პ), ელიაშვილი (14ქ, 6მ, 3დ), კეშელავა (28ქ, 4პ, 14მ), ნინუა, ელიაძე (16ქ, 2დ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, ი. ბერიშვილი

კომისარი: გ. სანაძე

ბათუმელმა სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვეს, თანაც სტუმრად - „რუსთავი“ 93:85 დაამარცხეს.

ზღვისპირეთა გამარჯვება გამოცდილმა ლაშა კეშელავამ განაპირობა. მან 28 ქულა და 14 მოხსნა მოაგროვა.

კი „რუსთავის“ ფორვარდი ლევან ხმელიძე გახდა, 33 ქულა ჩააგდო.

Table with 5 columns: გუნდი, თ, მ, წ, სპ, ქ. Rows include: 1. არმია, 2. შუთაიანი, 3. ოლივი, 4. სუსპი, 5. შსს, 6. თსუ, 7. სახმელეთო, 8. დინამო, 9. სტუ, 10. ბათუმი, 11. რუსთავი.

ქართულელები ევროლიგაზე

მისგარე G და ოლიმპიკოსი

ევროლიგაზე „კანტუსა“ და „ოლიმპიკოსის“ მატჩის წინ იტალიელმა ჟურნალისტებმა გიორგი შერმაძის მიაკითხეს.



პირველთა ძლევაში დიდი წვლილი შეიტანა...

ნოემბრის მატჩი არასოდეს დამავინწყდება - იტალიაში „ოლიმპიკოსთან“ მეტად დაძაბულ მატჩში გავიმარჯვეთ.

ბოლო წამზე ჩემმა დაფარებამაც დიდი როლი ითამაშა გამარჯვებაში.

„კანტუსი“ ჩვეულად ვერ გაისარჯა და გამარჯვება საბერძნეთში დატოვა... იტალიურმა გუნდმა „ოლიმპიკოსთან“ 61:86 დათმო.

„კანტუსი“ მალაღონე მხოლოდ ვლადიმერ მიკოვი გაისარჯა, რომელმაც 34 წუთში 17 ქულა მოაგროვა.

შერმაძინმა მოედანზე 18:08 წუთი გაატარა და 4 ქულას 6 მოხსნა და 1 ჩაჭრა წააგებდა.

ცხრა ტურის შემდეგ A ჯგუფში მეტად საინტერესო ვითარება შეიქმნა.

სელებს ყოველთვის მაღალი დონის გუნდი ჰყავდათ, ხოლო მათი დიდი პლუსი საშინაო მატჩებია.

„კანტუსი“ ჩვეულად ვერ გაისარჯა და გამარჯვება საბერძნეთში დატოვა... იტალიურმა გუნდმა „ოლიმპიკოსთან“ 61:86 დათმო.

„კანტუსი“ მალაღონე მხოლოდ ვლადიმერ მიკოვი გაისარჯა, რომელმაც 34 წუთში 17 ქულა მოაგროვა.

შერმაძინმა მოედანზე 18:08 წუთი გაატარა და 4 ქულას 6 მოხსნა და 1 ჩაჭრა წააგებდა.

ცხრა ტურის შემდეგ A ჯგუფში მეტად საინტერესო ვითარება შეიქმნა.

„კანტუსი“ ჩვეულად ვერ გაისარჯა და გამარჯვება საბერძნეთში დატოვა... იტალიურმა გუნდმა „ოლიმპიკოსთან“ 61:86 დათმო.

ნიტარქია კოტა ტალუშიან გეროვილი პოუკინსი და ფრეი გაფრინდნენ

საქართველოს ჩემპიონმა „არმიამ“ ევროჩემპიონზე გამოსვლა სამშაბათს პოლანდიაში დაასრულა.

ვფიქრობ, მკითხველს დაინტერესებს გუნდის მთავარი მწვრთნელის, კოტე ტალუშის მოსაზრება, რომელსაც გუნდში ვესაუბრეთ.

„არმიამ“ მატჩის პირველი მეოთხედი აშკარად ჩააგდო. რა იყო ამის მიზეზი?

საწყის 10 წუთში ძალიან ცუდად ვითამაშეთ. ფაქტობრივად, სწორედ პირველმა მეოთხედმა მოახდინა დიდი გავლენა საბოლოო შედეგზე.



ან უნდოდა გამარჯვება და შესაძლოა, ზედმეტმა მონდომებამაც იმოქმედა უარყოფითად.

ჩამოყალიბდა, ასე ცუდად პირველი მეოთხედი არ ჩაუტარებია.

წაგების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, ალბათ, შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები იყო.

გამთამაშებელი სანდიატა გეინსი ამერიკაში წავიდა.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე თქვით, მეოთხე პერიოდის დასაწყისამდე მჯეროდა ჩემი გუნდის წარმატებისა...

ბოლო წუთებამდე მჯეროდა. დასაწყისში იყო შემთხვევები, როცა თავისუფალი პოზიციიდან ნატყორცნი არაერთი ბურთი ავაცილეთ.

ტომასი, თამაშში დაახლოებით 7 მოხსნას მეოთხე პერიოდში აგროვებს.

როგორც წესი, მასპინძლებს მსაჯები ზოგჯერ შეუმჩნევლად ეხმარებიან...

წაგების არც მსაჯებისთვის გადარჩება ვაპირებ.



ში ასე არ მომხდარა. არადა, „ბუქიქოთაშთან“ მატჩში ერთ სასტვენს შედელო ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვიტა.

ფრეი მხოლოდ ევროჩემპიონის განაცხადში ყვავდათ შეყვანილი, საქართველოს ჩემპიონატში არ თამაშობდა.

იგი უკვე წავიდა. მასთან და კლიფ პოუკინსთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ისინი ჩვენთან მანამ უნდა დარჩენილიყვნენ, სანამ ევროჩემპიონზე ვითამაშებდით.

გვერდი მოამზადე ვაჟა სიმონიშვილმა

Advertisement for 'თუბი' (Tubi) featuring logos for GSE, სუპერნიკა, and various basketball events with dates and times.

ლაბიონარები

ბრივს პლეი ოფაჲდე ერთი ნაბიჯილა აშორებს



მაშუკა გორგოძე

პერმონსასპის გათამაშების მეორე ნრეკემლი ჩელენჯ კაპის გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა გუნდმა „ბრივმა“ მინ ესპანურ „ლა ვილასთან“ დაპირისპირებით გახსნა. შეგახსენებთ, რომ „ჰენინგენის თასისა“ და „ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშებაში შვიდი „ქართული გუნდი“ ასპარეზობს და ჯგუფური ტურნირის პირველი წრის შემდეგ, პლეი ოფში მოხვედრის შანსს ყველა მათგანი ინარჩუნებს.

„პადოვას“. ლიონელები, სავარაუდოდ, იტალიიდან გამარჯვებისთვის განკუთვნილი ოთხი ქულის გარდა, ერთ პრემიულურ ქულასაც წაიღებენ, რაც პლეი ოფში მათი გასვლის შანსს მნიშვნელოვნად გაზრდის.

**საზარისო მდგომარეობა**  
**1. მანსტერი - 12 ქულა, 2. პლანკლი - 10, 3. კასტრი - 6, 4. ნორსჰემპტონი - 3.**

კავითიე ძირითად შემადგენლობაშია, რატინიე განაცხადში არ არის.

**საზარისო მდგომარეობა**  
**1. ნიუკასლი - 13 ქულა, 2. ტულონი - 10, 3. ლიონი - 5, 4. პადოვა - 0.**

ყველაზე პრესტიჟულ „ჰენინგენის თასის“ გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა სამივე გუნდი ჯერ კიდევ ინარჩუნებს მეოთხედფინალში გასვლის შანსს.

ამავე ჯგუფში ლიდერი ირლანდიური „მანსტერი“, რომელსაც ახლა 12 ქულა აქვს, მინ ესპანურ მორაგბეთა გუნდსა და ნორსჰემპტონს ახლა 12 ქულა აქვს, მინ ესპანურ მორაგბეთა გუნდსა და ნორსჰემპტონს ახლა 12 ქულა აქვს, მინ ესპანურ მორაგბეთა გუნდსა და ნორსჰემპტონს ახლა 12 ქულა აქვს...

საზარისო მდგომარეობა

1. მანსტერი - 12 ქულა, 2. პლანკლი - 10, 3. კასტრი - 6, 4. ნორსჰემპტონი - 3.

ჯგუფში მაშუკა გორგოძის, გიორგი ფლენცის, მიხეილ ნარიაშვილისა და გოდერძი შველიძის „მონპელიეს“, მარტალია, მხოლოდ ოთხი ქულა აქვს და ბოლო, მეოთხე ადგილზეა, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს მაინც ინარჩუნებს.

მონპელიელები ამჯერად მინ ესპანურ-შეიანი შოტლანდიურ „გლავოს“, რომელსაც რვა ქულა აქვს და მეორე ადგილზეა. ჩვენებურთა გუნდი საკმაოდ შესუსტებული შემადგენლობით ითამაშებს. სათადარიგოთა შორის არიან გუნდის ლიდერები მაშუკა გორგოძე, ფრანსუა ტრინდუკი, ბენუა პელიონგი. სხვადასხვა მიზეზების გამო არ ითამაშებენ გიორგი ფლენცი, ფულენსე ოუდრაოგო, ფულენსე ტომა და ბუსტოს მიიანი.

შველიძე ძირითად შემადგენლობაშია, ნარიაშვილი სათადარიგოთა შორის გაამწესეს.

ამავე ჯგუფში, ლიდერი ირლანდიური „ლენსტერი“ მინ მიიღებს ინგლისურ „ბასის“. ირლანდიურ კლუბს 11 ქულა აქვს.

საზარისო მდგომარეობა

1. ლენსტერი - 11 ქულა, 2. გლავო - 8, 3. ბასი - 6, 4. მონპელიე - 4.

„ჰენინგენის თასზე“ ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან საუკეთესო შედეგი დასვლით და ვით ზირაქაშვილის „კლერმონს“ აქვს. „ვულკანები“, რომლებმაც აქამდე 10 ქულა დააგროვეს და ლიდერობენ, სტუმრად ითამაშებენ ინგლისურ „ლენსტერთან“, რომელიც რვა ქულით მესამე ადგილზეა.

ნინა ტურის მატჩში „კლერმონსა“ ინგლისელებს მინ მოუგო 30:12. სამწუხაროდ, ამ შეხვედრაში მძიმედ დაშავდა დავით ზირაქაშვილი, რომელიც საოპერაციო შეიქნა და ექიმების ვერდიქტის მიხედვით, ორი თვის განმავლობაში ვერ ითამაშებს. ასევე ტრავმის გამო ვერ დაეხმარება „ვულკანებს“ გუნდის კიდევ ერთი ლიდერი, უკანასკნელი ორელიან რუჟერი.

ამავე ჯგუფში, ირლანდიური „ალსტერი“, რომელიც „კლერმონს“ ერთი ქულით ჩამორჩება, სტუმრად ითამაშება აუტსაიდერ იტალიურ „აიროსს“.

საზარისო მდგომარეობა

1. კლერმონი - 10 ქულა, 2. ალსტერი - 9, 3. ლენსტერი - 8, 4. აირონი - 0.

მსოფლიოს თასის აქო

ეროვნული



სტივ ჰანსენი

ჰანსენი ოლ გლავოს უთავკახებს

ახალი ზელანდიის რაგბის კავშირმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდს სტივ ჰანსენი დამოძღვრავს. შეგახსენებთ, რომ ის ახალ ზელანდიის გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში მთავარი მწვრთნელის გრემ ჰენრის თანაშემწე იყო, რომელიც თანამდებობიდან ერთი თვის წინათ გადადგა.

სტივ ჰანსენი „ოლ ბლექსში“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ 2004 წლიდან მუშაობს. მან გუნდთან ერთად საკმაოდ ნაყოფიერი, შეიძლება ითქვას, რომ მძიმე წლებიც გამოიარა. სტივი ნაკრების მორაგბეებს შორის ავტორიტეტით სარგებლობს და გრემ ჰენრის სარაგბო იდეოლოგიის გამგრძელებლად მიიჩნევა.

სტივ ჰანსენის კონკურენტი ეროვნული ნაკრების თანამდებობაზე დავით ზირაქაშვილის „კლერმონის“ თავკაცი ვერნ კოტერი იყო. ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა ჰანსენი ერთხმად აირჩია მწვრთნელად. ის ამჯერად ორწლიანი კონტრაქტს მოაწერს ხელს, თუმცა, სავარაუდოდ, 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში გუნდს სწორედ ის წარუძღვება.

„ამაყი ვარ იმით, რომ ახალზელანდიური რაგბი ასეთ მაღალ დონეზე დაამაში თუნდაც მცირეოდენი წვლილი მეც მიმიძღვის. ძალიან მიხარია, რომ ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობის საშუალება მომეცა. ჩემი მიზანია, გუნდის თამაში კიდევ უფრო დაიხვეწოს და გაძლიერდეს.“ - თქვა ახალი ზელანდიის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა სტივ ჰანსენმა.

„ის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. ჰანსენმა 2004 წლიდან მოყოლებული დიდი სამუშაო გასწია გრემ ჰენრისთან ერთად, რათა „ოლ ბლექსი“ ტრიუმფამდე მიეყვანა.“

სტივს დიდ პატივს სცემენ ახალზელანდიელი მორაგბეები, ენდობიან და მხარს უჭერენ. ვფიქრობთ, რომ ყველაზე მეტად, სწორედ ის იმსახურებს „ოლ ბლექსის“ მთავარი მწვრთნელი ერქვას“- თქვა ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბრაიან ვილიამსმა.

ჰანსენს უფლება აქვს ერთი თანამშემდეგ აიყვანოს. კანდიდატები არიან იან ფოსტერი, „ქანთერბერის“ ყოფილი მწვრთნელი ოზი მაკლინი და „ოლ ბლექსის“ ფეხით თამაშის მწვრთნელი მაიკ ბირნი. საერთო აზრით, ეს უკანასკნელი ფავორიტია.

მაქოა - ნუ დაიძახებთ სარს

მსოფლიოს თასის მფლობელი ახალი ზელანდიის ნაკრების კაპიტანს რიჩი მაქოას სერის ტიტულის ტარება არ სურს. წინადადებით, „ოლ ბლექსის“ ლეგენდარული მესამეხაზელისთვის რაინდის ნოდება მიენიჭებინათ, ახალი ზელანდიის პრემიერ მინისტრი ჯონ კეი გამოვიდა. მაქოა IRB-ს ვერსიით საშუალოდ დასახელეს მსოფლიოს საუკეთესო მორაგბედ და წლეულს ახალი ზელანდიის ეროვნულ გუნდთან ერთად „ვებ ელისის“ თასის მფლობელიც გახდა.

„ვის, თუ არა რიჩი მაქოას ეკუთვნის ატაროს რაინდის ნოდება. მაგრამ მან უარი თქვა სერ რიჩი მაქოა ეწოდოს, სანამ რაგბის თამაშობს. მერე, როცა დიდ ასპარეზს ჩამოშორდება, საამისოდ შესატყვისი დრო დადგება“ - თქვა „რადიო სპორტის“ ეთერში ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ 30 წლის ახალზელანდიელმა ფლანდრეკმა ახლახანს რაგბის კავშირთან ახალ, ოთხწლიანი ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. თუმცა, კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის მიხედვითაც, თუ მაქოა ჯანმრთელობის გაუარესების გამო თამაშს ვერ შეძლებს, ხელშეკრულება ორმხრივად გაუქმდება.

სანქცია

ბიარიცხი მკაცრად დასაჯეს

საზრანბატიის ჩემპიონატში 29 ნომბერს გამართულ შეხვედრაში „ბიარიცხა“ და „ბაიონს“ შორის მოდანიე ჩხუბი ატყდა, რომელშიც ტრიბუნაზე მყოფი იმანოლ არნორდოკის მამა ლუსიენ არნორდოკი ჩაერთო.

რადგან ის არ არის კლუბ „ბიარიცის“ წევრი და ლიცენზია არ გააჩნია, სამაგიეროდ მკაცრად დაისაჯა თვითონ კლუბი. „ბიარიცი“ საშინაო მატჩებს საკუთარ სტადიონზე მიმდინარე სეზონის ბოლომდე ვეღარ გამართავს.

საფრანგეთის რაგბის ნაციონალური ლიგის (LNR) სადისციპლინო კომიტეტმა ლუსიენ არნორდოკი ვერ დასაჯა,

გვერდი მოაგზავნა ბესიკ ჯანაგაძე





კვირის ბოლოს



ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

კრიკი

მაიკ ტაისონი: არ ვინდა მებრძობს მოკბუმი მიჯაჭოთხო

ერთ-ერთი პოლონურ გაზეთში საინტერესო მასალა დაიბეჭდა ლეგენდარული ამერიკელი მოკრივის მაიკ ტაისონის შესახებ, რომელსაც თან ერთვის მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის მცირე ინტერვიუ...

მაიკ ტაისონი ახლა უფრო უკეთ გამოიყურება, ვიდრე 10 წლის წინ, როცა დეტროიტში შედგა მისი ბრძოლა ცნობილ პოლონელ ანჯეი გოლოტასთან. კაზინო Mandalay Bay-ში, სადაც ამ დღეებში WBC-ის ყრილობა იმართებოდა, ტაისონი საკუთარ კეპებსა და მაისურებს უნებურად რეკლამას. ის მშვიდად და ღიმილით პოზირებდა ფოტოსთვის (55 დოლარი), რომლის რიგში კრივის უამრავი მოყვარული იდგა. ფოტოსესიის შესვენებისას მან ინტერვიუზე თანხმობა განაცხადა და როცა გაიგო, რომ მასთან პოლონელ ჟურნალისტს უნდა დასაუბრებოდა, მაშინვე იკითხა:

- არ მითხრათ, რომ გოლოტას ისევე უნდა ჩემთან ჩხუბი...
- არ ვიცი, მაგრამ ის აპირებს რინგზე დაბრუნებას.
- ჩვენ ძალიან ბებრები ვართ ამ ცირკისა და მიუღი ამ საკრივო ნეზისთვის. რამდენიმე წუთის წინ პოლიციელმა ველაპარაკე. უნდა ვაღიარო, რომ კარგად გამოიყურება, მაგრამ არა იმდენად, რომ საუკეთესო მოკრივეების წინააღმდეგ გავიდეს რინგზე. საშუალო დონის მეტოქეებთან, შესაძლოა, რამე გამოუვიდეს, მაგრამ იქ, სადაც ნამდვილი დონე იწყება, ჩვენ არანაირი შანსი არ გავგაჩნია. ეს თვითმკვლელობასავით იქნება.
- ამასწინათ ვესაუბრე თქვენი ეპოქის კიდევ ერთ მოკრივეს - ლარი დონალდს და მასაც სურს დაბრუნება...
- ეს ამბავი მეც გავიფე. მაგრამ საუკეთესოებთან არც მას ექნება შანსი. პირა-

დად მე ცალკე ტურნირს მოვანწყობდი 40 წელს გადაცილებულ მოკრივეებს შორის. უნდა ჩატარდეს რეგულარული ბრძოლები, რათა ბოლომდე გავძლოთ ფიზიკურად. ეს ტურნირი საყურებლადაც უკეთესი იქნებოდა და უკეთესი გაიყიდებოდა, ვიდრე ის, რასაც დღევანდელი სუპერმძიმე კატეგორია ჰქვია. ტელევიზია მას აუცილებლად შეიძენდა და მაყურებელიც მრავალად მოვიდოდა. წარმოიდგინეთ, რა სანახავი იქნება ბრძოლა მოკრივეებს შორის, რომლებიც 15-20 წლის წინ ჩხუბობდნენ ერთმანეთში. შუარისიბა ბრძოლისთვის, რომელიც მათ გარდა სხვას არავის ახსოვს.

- თქვენც გავხივდით რინგზე?
- მე თავს შევიკავებ. ახლა რინგზე გასვლის შემთხვევაში, როცა უყურებ იმას, რასაც ადრე ვაკეთებდი, შიშის გრძობა მიპყრობს. ხანდახან ვფიქრობ იმაზე, როგორი ადამიანი ვიყავი მაშინ. ამ ტურნირის შესახებ იდეა ჩემთვის არ არის, მაგრამ სხვებისთვის შესანიშნავი გასართობი იქნება.

თუმცა ერთი გამონაკლისი აუცილებლად უნდა დავუშვათ. მონაწილეთა სიაში არ უნდა იყოს უფროსი კლიკო. ის ასაკით შეესაბამება ვეტერანთა ტურნირს, მაგრამ არ მინდა მის გამო ჩემს ძველ მეგობრებსა და მეტოქეებს შორის მივაკითხო.

**P. S.** აქ მოყვანილი ფოტო WBC-ის ყრილობაზეა გადაღებული. 45 წლის ტაისონი იხსენებს 1997 წლის ივნისში გამართულ სკანდალურ ორთაბრძოლას, როცა მან ყური მოაჭამა ევანდერ ჰოლიფილდს. ამჯერად, „რკინის მაიკი“ WBC-ის აღმასრულებელ მდივანს მაურისიო სულეიმანს ემუქრება.

გვერდი მოაგზავნა  
გია თვალაკიშვილმა



ფორმულა 1

დარჩა ორი შაქანსია

მშპინ, ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებიდან კიდევ ერთმა დაასახელა შემადგენლობა 2012 წლის სეზონისთვის.

ინდურ საჯინიბოში - „ფორს ინდიაში“ წლევანდელ სეზონთან შედარებით ერთი ცვლილება მოხდა. როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანელი ადრიან სუტილის ადგილი მისმა თანამემამულემ ნიკო ჰიულენბერგმა დაიკავა. ის 2012 წელს შოტლანდიელი პოლ დი რესტას პარტნიორი იქნება.

24 წლის გერმანელს ფორმულა 1-ში დებიუტი 2010 წელს, „უილიამსის“ შემადგენლობაში ჰქონდა, წელს კი „ფორს ინდიაში“ სარეზერვო პილოტის როლს ასრულებდა. ახლა ის საპირიზო პილოტის რანგში უბრუნდება „სამეფო რბოლებს“. როგორც ვთქვით, ნიკო სუტილის შეცვლის, ვინც გასულ სეზონში საერთო ჩათვლაში მეცხრე ადგილი დაიკავა.


„რა თქმა უნდა, მონარული ვარ ასეთი შანსის მიღებით. ახალი სეზონის წინ ძალიან მოტივირებული ვარ. ზამთარში ნაკოფერად მუშაობას ვაპირებ იმისთვის, რომ ჩვენი მანქანა უკეთესი გახდეს და განვავრცოთ წელს მოპოვებული წარმატება. მოუთმენლად ველოდები ხერხში ტესტების დაწყებას“, - განაცხადა „ფორს ინდიაში“ ახალმა პილოტმა.

ამ ტრანსფერის შემდეგ, დღევანდელი დღისთვის ფორმულა 1-ში ორი ვაკანსია დარჩა - „უილიამსისა“ და HRT-ში.

...  
თუ უშეშვრად დარჩენილი ბრუნო სენა ფორმულა 1-ში ადგილს ვერ იპოვის, სავარაუდოდ, ამერიკაში ნასკარ-ის სერიაში გააგრძელებს კარიერას.

„თუ ფორმულა 1-ში არაფერი გამოვა, მომიწევს ამერიკაში გამგზავრება და იქ რომელიმე სერიაში მოწყობა, - ამბობს „ლოტუს რენოს“ ყოფილი პილოტი. - ინდიკარის სერიაში გადასვლა სერიოზულ ეჭვს იწვევს, რადგან არ მზიბლავს ფორმულას ტიპის ბოლიდებით ოვალურ ტრასებზე რბოლა, თან ოჯახიც არ მომცემს ამის ნებას. ნასკარი კი სავსებით მისაღები ვარიანტია“.

ბოლო დროს, ფორმულა 1-დან ნასკარის სერიაში ბევრი პილოტი წავიდა, მაგრამ მხოლოდ კოლუმბიელმა ხუან-პაბლო მონტოიამ მიაღწია ამერიკულ ოვალზე გარკვეულ წარმატებას. ნელსონ პიკე, კიმი რაიკონენი, სკოტ სპიდი და სხვები ოკეანის გაღმა არც ისე ძლიერად გამოიყურებოდნენ.



ფორს ინდიაში დუეტი

შუშის შეჯამება



მიხაელ შუმხერი

„მისქაქსის“ პილოტმა მიხაელ შუმხერმა შეჯამა გასული სეზონი. მსოფლიოს შვიდჯანს ჩემპიონის სიტყვებით, მას კარგი შედეგის მიღწევაში ხელი შეუშალა სეზონის მსვლელობისას ტესტების აკრძალვამ. გარდა ამისა, მიხაელმა თავის სამომავლო გეგმებზე ილაპარაკა.

„ზოგიერთს მიაჩნია, რომ მე მოტივაცია და განწყობა მაკლდა უკეთ გამოსასვლელად, - ამბობს შუმხერი „კორიერ დელა სერასთან“ ინტერვიუში. - მაგრამ ჩემზე უკეთ არავინ იცის, რა ხდება სინამდვილეში. სეზონის წინ სერიოზულად ვფიქრობდი, რომ რამდენჯერმე შევძლებდი პოდოუმზე ასვლას. მაგრამ ასე მარტივად არაფერი ხდება.“

ადრე ფორმულა 1-ში სეზონის მსვლელობისას დაშვებული იყო ტესტები, ახლა გუნდებს ასეთი შესაძლებლობა აღარ აქვთ. გარდა ამისა, ვერაფრით შევარჩიეთ საბურავები. წინა წლებში, ეტაპის დაწყების წინ ზუსტად ვიცოდით, რაში იყო პრობლემა. ახლა, ხშირად ინტუიციაზე დეყრდნობა მიწევს.

რაც შეეხება ჩემს მომავალს, ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შემიძლია. ჩემი კონტრაქტი 2012 წლის ბოლომდეა ძალაში, ხოლო რა იქნება 2013 წელს, ჯერ არ მექვს მოფიქრებული“.

სამთო-სათხილამურო სპორტი

დაბრუნება ევროპაში

ოქსანის ვალმა რამდენიმე ეტაპის ჩატარების შემდეგ, სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიოს თასის გათამაშება ევროპაში გაგრძელდა. გუშინ, იტალიის კურორტ ვალ გარდენაში მამაკაცებმა პირველობა გაითამაშეს სუპერგიგანტში.

გუშინდელი ეტაპის გმირი ალმონდა შვეიცარიელი ზიტ ფოიზი. შეიძლება, ბევრი ამ მოთხილამურეს არ იცნობს, ამიტომაც შეგახსენებთ, რომ ფოიზმა კარიერაში პირველი ეტაპი გასული სეზონის ბოლოს მოიგო, ახლა კი მეორედ მიაღწია წარმატებას.

შვეიცარიელმა რთულ ბრძოლაში მოიპოვა გამარჯვება. მისი მთავარი კონკურენტი ამერიკელი ბოდე მილერი იყო, რომელიც, საბოლოოდ, 0.3 წამით ჩამორჩა გამარჯვებულს. მესამე იყო ეტაპზე ნორვეგიელი ჩეტლ იანსრუდი.

მილერმა მერვე ნომრად აიღო სტარტი და დიდი ხანი მისი დრო საუკეთესო იყო. ტრადიციულად, უძლიერესები 16-დან 22-ე ნომრად იღებენ სტარტს. ამ ჯგუფის მოთხილამურეებმა დაასრულეს გამოსვლა, მაგრამ ამერიკელი მაინც ლიდერად დარჩა. და როცა ბოდე ტრიუმფის აღნიშვნა უნდა დაეწყო, მისი დრო ფოიზმა გააუმჯობესა.

მეოთხე მივიდა ფინიშთან ნორვეგიელი აქსელ ლუნდ სეინდალი, რომელმაც შეინარჩუნა ლიდერობა საერთო ჩათ-



ზიტ ფოიზი

**RALEIGH** **875ლ** **SHIMANO**

**Talus 4.0**  
Aluminium Frame  
Tektro Novela Mechanical Disc Brakes  
SHIMANO Gear System

ტელ. 832 237 18 84  
მობ. 551 263 737  
თბილისის 61, საბურთალო  
Email: kiknavelidzebeqa@yahoo.com  
ჩვენს ვებგვერდზე: 16:00-20:00